ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 169
25/09/2015

169-08-4-201509251733

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

1.მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, მოწვეული იქნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.”ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის N37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი:თეა უჯმაჯურიძე

2. “ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ” 2011 წლის 11 იანვარის N14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

5.“ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.12.21.121) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

7. საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირებაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მალხაზ ჩხიკვაძე

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2015 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ ლომთათიძე

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

მომხსენებელი : მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა